შპს ,,სადუნის“

2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის

შესრულების მონიტორინგის შედეგი

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობდა 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან, სკოლის ფილოსოფიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან.

მასში ასახული იყო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო ქვემოთ მოცემული ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

## 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება | ახალი პროგრამების შემუშავება/ დანერგვა | სასწავლო პროგრამების/კურიკულუმების/ შემუშავება | + | | | |
| | | სასკოლო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა/საჭიროების შემთხვევაში ახლის დამტკიცება | + | | | |
| | | საჭიროების შემთხვევაში, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლება | | + | | სსსმ მოსწავლე არ გვყავს, თუმცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/სწავლების მზაობა გვაქვს. |
| | | მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება | + | | | ეკონომიკის კლუბი, რობო კლუბი, პროგრამირება, Language arts, თეატრალური კლუბი, პრესკლუბი, მათემატიკის საოლიმპიადო კლუბი, ქიმიის კლუბი. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დანერგვა | + | | | |
| | სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა | შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა და მართვა | | + | | 1)სამყაროს თანადგომა მართავს; 2) ილია 186 - ილია ჭავჭავაძის კვირეული;<br>2)შემოდგომა „სადუნში“;<br>3)ერთი ამბით დანახული სამყარო - ჯაზის წარმოშობის ისტორია; 4)ჩემი ფერია ყვითელი ფერი - ინოლა გურგულიას ხსოვნის საღამო;<br>5) პროექტი - ლიტერატურული სასამართლო.<br>პროექტ ,,ლიტერატურული სასამართლოს" ფარგლებში მე-8 კლასელებს შეხვდა და სასამართლო პროცესის სპეციფიკაზე, მსვლელობის ეტაპებსა და პროცესის მონაწილეთა ფუნქცია-მოვალეობების შესახებ დაწვრილებით ესაუბრა ალტერანტიულ იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი ალტერნატიულ იურისტთა ასოციაცია.Alternative Lawyers' Association, „სადუნის“ კურსდამთავრებული, ილია კახიანი. ლექციაზე მიღებული ცოდნა დაეხმარა მათ შემდგომ ლიტერატურული სასამართლოს ინსცენირებაში;<br>6) NATO SPS პროგრამის REACT პროექტის ფარგლებში<br>სკოლა "სადუნის" მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა: თამარ ცხელიშვილმა,<br>ნიკოლოზ ხოჭავამ და ნიკოლოზ მჭედლიშვილმა ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე მოამზადეს საკონფერენციო თემა ,,ატმოსფეროს დაბინძურება“;<br>7) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დედამიწის დღესთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ფორუმზე_ „კლიმატის ცვლილების ბუნებრივი/კოსმოსური და |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ადამიანური ფაქტორები",მეთერთმეტე კლასის მოსწავლეემ ,თამარ ცხელიშვილმა გაიმარჯვა ,ნომინაციაში- საუკეთესო პრეზენტაცია. ხოლო ნიკოლოზ ხოჭავასა და ნიკოლოზ მჭედლიშვილის ნაშრომებმა გაიმარჯვეს ნომინაციაში: კლიმატის ცვლილების თანამედროვე კვლევებსა და მიდგომებზე დაფუძნებით შესრულებული თეორიული კვლევა და ანალიზი;<br>8) ნონა გაფრინდაშვილი "სადუნში"!<br>ჭადრაკში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონმა, საერთაშორისო დიდოსტატმა,<br>ნონა გაფრინდაშვილმა "სადუნის" ფარგლებში გამართული ჭადრაკის სასკოლო ტურნირის მონაწილეები მედლებითა და სიგელებით დააჯილდოვა;<br>9),,სადუნის" პრესკლუბის ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიასთან; |
| | | დიფერენცირებული სწავლება | | | + | |
| | | სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დამკვიდრება | + | | | |
| | | გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის დანერგვა | + | | | |
| | | დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებთან დამატებითი მუშაობა | + | | | მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დამატებითი მეცადინეობით სარგებლობდა საშუალოდ 15-20 მოსწავლე ძირითადად ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო საგნებში. |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/ განხორციელება | სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით | + | | | წელიწადში ორჯერ, სემესტრის ბოლოს ივსება კითხვარები მშობლების, მოსწავლეებისა და მოსწავლეთა მიერ, რომელთა საფუძველზეც იწერება SWOT ანალიზი. ცალკე კითხვარი ივსება COGNIA-ს კითხვარი მათსავე ოფიციალურ ვებ-გვერდზე, რომელსაც ასევე უკეთდება ანალიზი. |
| | | სასწავლო პროცესის დიაგნოსტიკური წერების ჩატარება | + | | | სემესტრში ორჯერ VII-XI კლასებში დაიწერა დიაგნოსტიკური წერები. |
| | | სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება | + | | | ქუიზებისა და შემაჯამებელი წერების ანალიზის შედეგად დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები ინდივიდუალურად და შესაბამისად იგეგმება მათთან მუშაობა. |
| | | სასკოლო სასწავლო გეგმის შესრულების მონიტორინგი | + | | | |
| | | სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესრულების მონიტორინგი | | | + | სსსმ მოსწავლე არ გვყავს, საჭიროების შემთხვევაში სკოლა მზაობას გამოთქვამს მონიტორინგის ჩასატარებლად. |
| | | საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება | + | | | კათედრის წევრები ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე და ავსებენ ურთიერთდასწრების ფორმას, უზიარებენ საუკეთესო გამოცდილებას. COGNIA- ს ფარგლებში გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა ივსება ოფიციალურ გვერდზე. |
| | აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა | მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა, მოიპოვონ დაფინანსება და პროფესიას დაეუფლონ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში | | + | | |
| | | მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლის შედეგად საუკეთესო მოსწავლეთა წახალისების პრაქტიკის დამკვიდრება | | + | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მოსწავლეთათვის მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნა | + | | | |
| | | ოლიმპიადებში, კონფერენციებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართვა და წარმატებული მოსწავლეების წახალისება | + | | | |

2. ადამიანური რესურსის განვითარება

<table>
<tr><th rowspan="2">სტრატეგიული მიზნები</th><th rowspan="2">ამოცანები</th><th rowspan="2">აქტივობები</th><th colspan="4">მონიტორინგის შედეგები</th></tr>
<tr><th>შესრულდა</th><th>ნაწილობრივ შესრულდა</th><th>არ შესრულდა</th><th>შენიშვნა</th></tr>
<tr><td rowspan="8">ადამიანური რესურსის განვითარება</td><td rowspan="4">პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება</td><td>პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>ადამიანური რესურსის მუდმივი განვითარება</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა</td><td>ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td rowspan="3">ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება</td><td>თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>სხვადასხვა აქტივობების განხორციელება და განვითარების მუდმივი კონტროლი</td><td>+</td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა</td><td>+</td><td></td><td></td><td>მასწავლებელთა უმრავლესობამ გაიარა ტრენინგი „ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“, სკოლის დაფინანსებით ორმა</td></tr>
</table>

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | პედაგოგმა გაიარა საერთაშორისო ტრენინგი პოლონონეთში. |
| | | ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა | + | | | ინგლისური პედაგპგებმა საზღვარგარეთ გავლი ტრენინგზე მიღებული ცოდნა გაუზიარეს კოლეგებს. |
| | | მაძიებლობის სტატუსის მქონე მასწავლებლებთან ტუტორების აქტიური მუშაობა და საჭიროების შემთხვევაში შიდა სასკოლო კონსულტაციების გამართვა | + | | | |
| | | მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვა | + | | | ინგლისური ენის პედაგოგებმა გაიარეს ტრენინგი საზღვარგარეთ სკოლის დაფინანსებით. |
| | | გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება | + | | | |
| | | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა კოორდინირებული მუშაობა | + | | | |
| | | ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში საგნობრივ შეხვედრებში მონაწილეობის ხელშეწყობა | + | | | |

## 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება | ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; | სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება | + | | | |
| | | ინვენტარის და სხვა მასალების შეძენა (საჭიროებისამებრ) | + | | | |
| | | საჭიროების შემთხვევაში კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოების ჩატარება | + | | | |
| | საგანმანათლებლო / სასწავლო რესურსების განახლება/შევსება | წიგნადი ფონდის შევსება, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება | + | | | |
| | | ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტების ცდების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებით მომარაგება | + | | | |
| | | მასწავლებლისათვის მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის შეძენა | + | | | |
| | | სპორტული ინვენტარის განახლება | + | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება | სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | | + | | |
| | | ოფიციალური ვებ-გვერდისა და საკომუნიკაციო არხების შექმნა/განვითარება და მუდმივი განახლება | + | | | |
| | ფინანსური მდგრადობა | დამატებითი ეკონომიკური შემოსავლების მოძიება | + | | | |
| | | ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესება | + | | | |
| | | ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგი | + | | | |

# 4. უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა | საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა | სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვა | + | | | |
| | | სასკოლო სივრცეში არსებული წესების სასკოლო საზოგადოებისათვის გაცნობა | + | | | |
| | | სასკოლო სივრცეში არსებული წესების დაცვა | + | | | |
| | | პოზიტიური გარემოს შექმნა | + | | | |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვა | ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და სკოლაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის ფუნქციონირების კონტროლი | + | | | |
| | | სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობა | + | | | |
| | | სპეციალური სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და საგანგებო სიტუაციებში ქცევის წესების შესახებ | + | | | უსაფრთხოების სპეციალისტის ინიციატივით სკოლაში მოეწყო რამოდენიმე იმიტირებული სახანძრო განგაში და ევაკუაცია, რომელსიც ჩართულები იყვნენ როგორც მოსწავლეები, ისე მასწავლებლები და თანამშრომლები. |
| | უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება | ვიდეო კამერების მონიტორინგი | + | | | |
| | | მასწავლებელთა მორიგეობის სისტემის შექმნა | + | | | |
| | | სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა აღრიცხვა | + | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ცნობიერების ამაღლების მიზნით მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზება | | + | | |

## 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| სასკოლო საზოგადოების ჩართულობა | მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა | მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება | + | | | |
| | | სკოლის თვითმმართველობის ინიციატივების მხარდაჭერა | + | | | მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ჩატარდა სპორტული ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და მინი ფეხბურთში; მოეწყო საახალწლო მეჯლისი. თემატიკა - „ჰარი პოტერი“; საგაზაფხულო კოსტიუმირებული მეჯლისი; თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოინახულეს მოხუცთა თავშესაფარი და გადასცეს პროდუქტები და სხვადასხვა საჩუქარი. |
| | მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში | მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება | + | | | მშობელთა კმაყოფილების კვლევის მიზნით ივსება წელიწადში ორჯერ კითხვარები, რომელთა ანალიზის საფუძველზე ვლინდება პრობლემები და იგეგმება მათი გადაჭრის გზები. |
| | | სსსმ მოსწავლეების მშობლებთან მუდმივი კომუნიკაცია მოსწავლისათვის სასწავლო/აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვისას | + | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მშობლების მონაწილეობით სხვადასხვა ღონისძიებებისა და პროექტების ორგანიზება | + | | | |
| | მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა | მშობელთა კრებების ორგანიზება | + | | | |
| | | მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება | + | | | |
| | | ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ყოველდღიური კომუნიკაცია | + | | | |
| | | დამრიგებელთა მიერ მშობლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით (მეილი, ტელეფონი, სოციალური ქსელი და ა.შ) | + | | | |
| | მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა | მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და მიღებული შედეგების ანალიზი | + | | | |
| | | სკოლის კოლეგიური ორგანოების შეხვედრებში მშობელთა მონაწილეობის მაქსიმალური ხელშეწყობა | | + | | |
| | მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება | თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება | + | | | |
| | | სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ინიცირება | + | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სკოლაში უსაფრთხოებისა და პოზიტიური გარემოს შექმნისათვის რეკომენდაციების შემუშავება და პროექტების ორგანიზება | + | | | |
| | | გამჭვირვალე და სამართლიანი გასაჩივრების, ასევე, საჩივრების განხილვის ეფექტური სისტემის მუშაობა | + | | | |

## 6. მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება | მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა | მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა | + | | | |
| | | სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება | + | | | |
| | | კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა | + | | | 1)დირექცია სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ ამსტერდამში “Edutech Europe” საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენაზე; 2) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, სკოლა ,,სადუნის“ მაღალკლასელი მოსაწვალეების თვის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საინფორმაციო ლექცია/ტრენინგი ჩაატარა; 3) სკოლა "სადუნის" მეცხრეკლასელები გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს ესტუმრნენ; 4) სკოლა "სადუნის" IX-XI კლასების მოსწავლეებს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ყოფილი სადუნელი, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის, ISET -ის სტუდენტი, ანა გაგუა შეხვდა. მან ისაუბრა ISET-ის კურსდამთავრებულთა მიღწევებსა და ზოგადად, ეკონომისტის პროფესიაზე; 5) "სადუნის" IX -XI კლასის მოსწავლეები სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრს, "დელტას" ესტუმრნენ; |
| | | | | | | |
| | დამატებითი სერვისების განვითარება | კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება | + | | | პროექტის "რობოტიკისა და ტექნოლოგიური მეწარმეობის სკოლა უფროსკლასელებისთვის" ფარგლებში სკოლა ,,სადუნის" მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა, ელენე ყალიჩავამ და ნიკოლოზ გიგინეიშვილმა შეისწავლეს: რობოტიკის საფუძვლები, დრონების პროგრამირება, ბლოკური პროგრამირება, არდუინოს პროგრამირება, გრაფიკული დიზაინი და ტექ-მეწარმეობა. ამ მიმართულებით შექმნეს კლუბი, სადაც უმცროსკლასელებს |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | შეასწავლიან ტექნოლოგიური იდეების შემუშავებასა და დანერგვას. პროექტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრმა ფაბლაბთან ერთად ამერიკის საელჩოს ალუმნი საგრანტო პროგრამის ფარგლებში განახორციელა.<br><br>საშუალო და საბაზო საფეხურზე წარმატებით ფუნქციონირებდა ისტორიის კლუბი ,,კლიომანი“, რომელიც სისტემატურად ატარებდა შეხვედრებს. ჩატარდა ფინალური თამაშიც, რომელშიც გამოვლინდა 2023-2024 სასწავლო წლის გამარჯვებული გუნდი 9ა კლასი, . მათ გადაეცემათ სიგელები და 100ლ. ბიბლუსის ვაუჩერი.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებდა დებატკლუბი. დებატების სასკოლო ჩემპიონატის ფინალში გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი. გუნდს გარდამავალი თასი გადაეცა |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | სიგელებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო მონაწილეები. მოქალაქეობის მასწავლებელი- თეა მჭედლიძე. ბავშვების ინტერესი და აქტივობა იყო საკმაოდ მაღალი. დაიგეგმა მომავალ სასწავლო წელს გაგრძელდეს პროექტი და კიდევ უფრო დაიხვეწოს.<br><br>2023-24 სასწავლო წელს ,,სადუნში" მუშაობა დაიწყო პრეს-კლუბმა, რომლის ფარგლებშიც კლუბის წევრებმა მოამზადეს პირველი გადაცემა სხვადასხვა რუბრიკით: 1. ,,სადუნის" სიახლეები; 2. სპორტის ამბები; 3. მოდის სახლები და მათი ისტორია; 4. განსხვავებული საახალწლო ტრადიცია - ავსტრია.<br><br>,,სადუნის" პრესკლუბის ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორთან, კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიასთ ან აქ თქვენ მოისმენთ ძალიან საინტერესო პასუხებს არანაკლებ საინტერესოდ დასმულ |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | კითხვებზე რესპოდენტის ცხოვრების კარიერული გზის, ოჯახის წევრების, საზღვარგარეთ ცხოვრების წლების შესახებ. |
| | | შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება | + | | | ილია-186! ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთ ან ერთად VIIIბ კლასმა მოინახულა ილიას საფლავი მთაწმინდაზე. მოსწავლეებმა წაიკითხეს მოგონებები მწერლის შესახებ, პირადი წერილები, ლექსები, პოემებიდან ამონარიდები. პრესკლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო გასვლითი ღონისძიება პირაქეთა ხევსურეთში, სადაც მე-11 კლასელებმა მოამზადეს სიუჟეტი ხევსურული ტრადიციების, ყოფითი გარემოსა და კულტურის შესახებ, თავად მიიღეს მონაწილეობა ხევსურული კერძების მომზადებაში.<br><br>IX კლასელების გასვლითი ლიტერატურის გაკვეთილი ბეთანიის მონასტერში: ,,თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" |

## 7. ორგანიზაციული განვითარება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | აქტივობები | მონიტორინგის შედეგები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | შენიშვნა |
| ორგანიზაციული განვითარება | სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა | | | | | |
| | | სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება და თანამშრომლობა; | + | | | სკოლა „სადუნმა“ მემორანდუმი გააფორმა ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმთან. |
| | სკოლის ცნობადობის გაზრდა | სკოლაში არსებული მმართველობითი პოლიტიკისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებით თემში სკოლის მიმართ ინტერესის გაზრდა | + | | | |
| | | სკოლის სოციალური ქსელის, ვებ-გვერდის გამოყენებით სკოლის პოპულარიზაცია | + | | | |
| | | მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა | + | | | |